

სავალუტო ბაზრის მონაწილეთა ქცევის ნორმები

I. ძირითადი ნორმები

1. მიზნები

ამ ნორმების მიზანია, განსაზღვროს სავალუტო ბაზარზე სამრეწველო საქმიანობის განხორციელების ერთიანი ქცევების რაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სავალუტო ოპერაციებით დასაქმებული დილერების, აგრეთვე ამ ოპერაციებთან დაკავშირებული პერსონალისა და საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელების ჯეროვან რეპუტაციას, პროფესიონალიზმის მაღალ დონეს და კეთილსინდისიერებას.

2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სადილინგო საქმიანობის წარმოებისათვის

სადილინგო ოპერაციებით დასაქმებული პერსონალის (დილერებისა და დამხმარე პერსონალის - ბექ-ოფისის) საქმიანობის კონტროლს ახორციელებენ მათ დამქირავებელ საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელები. ამასთან, ხელმძღვანელობამ წერილობითი ფორმით უნდა განსაზღვროს დილერთა და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი, კერძოდ:

- სადილინგო სფეროში ოპერაციათა წარმოების პოლიტიკა;
- ცალკეულ ოპერაციათა განხორციელების უფლებამოსილ პირთა სია;
- სადილინგო ოპერაციების შესრულებისას გამოსაყენებელი საფინანსო ინსტრუმენტების ჩამონათვალი;
- ღია პოზიციის ლიმიტები;
- ზარალის შემთხვევაში ამ უკანასკნელის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა (ეგრეთ წოდებული “STOP-LOSS” - ის ლიმიტები);
- გარიგებათა დადასტურებისა და ანგარიშგების პროცედურები;
- შესაძლო კონტრაგენტი საბანკო დაწესებულებების ნუსხა;
- ცალკეული კონტრაგენტის მიხედვით სადილინგო ოპერაციათა წარმოებისას ლიმიტების დაწესება.

3. პერსონალის პასუხისმგებლობა სადილინგო ოპერაციების განხორციელებისათვის

სვალუტო ოპერაციების წარმოებით დასაქმებულმა ყველა თანამშრომელმა უნდა დაიცვას ქცევის შემდეგი ძირითადი ნორმები:

- განახორციელოს სადილინგო ოპერაციები მხოლოდ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში და მოქმედი ინსტრუქციების მკაცრი დაცვით;
- სავაჭრო ოპერაციების წარმოებისას წარმოქმნილი ყველა სირთულე დაუყოვნებლივ აცნობოს ხელმძღვანელობას.

4. საბაზრო ტერმინოლოგიისა და განმარტებების გამოყენება

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თანამშრომლებმა იცოდნენ და საქმიანობაში სარგებლობდნენ სადილინგო და სვალუტო სფეროში საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიით.

5. სადილინგო ოთახები და ბექ-ოფისი

საბანკო დაწესებულებების საორგანიზაციო სტრუქტურაში აუცილებელია მკაფიოდ გაიმიჯნოს სადილინგო ოთახი ბექ-ოფისისაგან (ფინანსური საბუთების დამუშავების განყოფილებისაგან). ამასთან, ეს რგოლები უნდა გაიმიჯნოს როგორც ფუნქციურად, ისე სივრცობრივად, რათა დილერები ვერ სვდებოდნენ ბექ-ოფისში და პირიქით. დილერების მიერ სადილინგო გარიგებათა დადებისა და შესაბამისი სადილინგო ბარათების გაფორმების შემდეგ კონტრაგენტთა ბექ-ოფისები ვალდებული არიან მოახდინონ სადილინგო ბარათებში გათვალისწინებული პირობების დადასტურება (ტელექსით, სვიფტით ან სხვა მისაღები სატელეკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით), განახორციელონ ანგარიშსწორება, აღრიცხვა, პოზიციათა წარმოება და სხვა.

6. გარიგების გაფორმება

სადილინგო გარიგებების გაფორმება ხდება სადილინგო ბარათების სახით, რომლებიც უმოკლეს ვადაში უნდა გადაეცეს ბექ-ოფისს შემდგომი დამუშავებისათვის. სადილინგო ბარათების გადაცემა შეიძლება კომპიუტერული ტერმინალების მეშვეობითაც.

7. ბუღალტრული აღრიცხვა

ბექ-ოფისი საერთო ბუღალტერიასთან ერთად პასუხს აგებს ყველა ოპერაციის დროული აღრიცხვის და აქტივებისა და პასივების გადაფასებისათვის. იმის გამო, რომ საერთაშორისო ანგარიშსწორება საშუალოდ ორი დღის განმავლობაში ხორციელდება, ვალუტირების თარიღით აღრიცხვის პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს სარისკო პოზიციების სათანადო კონტროლს, ამიტომ აღრიცხვა უნდა ხორციელდებოდეს ცალკეული გარიგების დადებისთანავე.

8. მაგნიტოფონზე ჩაწერა

გამოცდილებამ ცხადყო, რომ სადღიწიგო გარიგებათა მაგნიტოფონზე ჩაწერის პრაქტიკა ფრიად ქმედით საშუალებას წარმოადგენს პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში. საკითხთა ადვილად გადაწყვეტის თვალსაზრისით, სასურველია მაგნიტოფონის ლენტის შენახვა იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც აუცილებელია პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე.

9. სადღიწიგო ოპერაციათა წარმოება სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ

იმასთან დაკავშირებით, რომ სავალუტო ბაზარი ამჟამად, როგორც წესი, ფუნქციონირებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მრავალი საბანკო დაწესებულება სავალუტო ოპერაციებს აწარმოებს სამუშაო საათების დამთავრების შემდეგაც. სადღიწიგო ოთახების მიღმა სადღიწიგო ოპერაციათა განხორციელება თავის მხრივ წარმოშობს დამატებით რისკებს. მაგალითად, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დილერის მიერ, არასამუშაო ადგილიდან (სადღიწიგო ოთახის გარეთ) ოპერაციის განხორციელება შეიძლება არ აღირიცხოს, ან ზოგ შემთხვევაში უარყოფილი იქნეს რომელიმე კონტრაგენტის მიერ. ასეთი პირობების თავიდან ასაცილებლად საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა შექმნას სათანადო პირობები იმ დილერთა მუშაობისათვის, რომლებსაც უფლება მიეცემათ სამუშაო საათების შემდეგ არასადღიწიგო ოთახებიდან განახორციელონ სადღიწიგო ოპერაციები. აქვე უნდა განისაზღვროს ასეთი შემთხვევებისათვის გამოსაყენებელი ფინანსური ინსტრუმენტები და სადღიწიგო ოპერაციათა მაქსიმალურად დასაშვები მოცულობები.

II. სადილინგო ოპერაციათა ტექნოლოგიური ციკლის მარეგულირებელი ნორმები

1. სავალუტო ბაზრის მუშაობის საათები

უნდა დაწესდეს სავალუტო ბაზრის გახსნისა და დახურვის საათები.

2. დადასტურების პროცედურები

დილერები ვალდებული არიან ზეპირი ფორმით დადასტურონ გარიგებანი. დილერების მიერ გარიგების დადასტურების შემდეგ, ბექ-ოფისმა ეს გარიგება განმეორებით უნდა დაადასტუროს, აღნიშნული დასტური რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეგზავნოს კონტრაგენტი ბანკის ბექ-ოფისს (ტელექსის, სვიფტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით).

ნებისმიერი განმეორებითი დასტური უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას მანც:

- გარიგების დადების ხერხი (ტელეფონი, ტელექსი);
- ვალუტირებისა და გარიგების ვადის გასვლის თარიღი;
- პარტნიორისა და მისი კორესპონდენტი ბანკის დასახელება და ადგილმდებარეობა;
- კურსი, თანხა და ვალუტის სახეობა;
- გარიგების სახეობა (ყიდვა, გაყიდვა) და მხარე (მყიდველი, გამყიდველი);
- დადგენილი სტანდარტული ტერმინები და პირობები;
- ნებისმიერი სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

განმეორებითი დასტური მიღებისთანავე უნდა გულმოდგინედ შემოწმდეს, ამასთან უნდა მიღებულ იქნეს ყველა ზომა ინფორმაციებს შორის განსხვავებების აღმოჩენისას მათი შესწორების მიზნით. თუ დადგინდება, რომ კონტრაგენტის მიერ გამოგზავნილი დასტური არასწორია, აუცილებელია კონტრაგენტ ბანკში შეტყობინების გაგზავნა და ამ უკანასკნელიდან შესწორებული დასტურის მიღება.

3. განკარგულება ანგარიშსწორების შესახებ

პარტნიორები, რომლებიც რეგულარულად ახდენენ ურთიერთშორის გარიგებებს, საანგარიშსწორებო სფეროში შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით, უნდა იყენებდნენ შეთანხმებულ სტანდარტულ საანგარიშსწორებო განკარგულებებს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს შესაძლო განსხვავებებს გაცვლილ საბუთებში.

4. კონფიდენციალურობა

პროფესიული სავალუტო ბაზრის ფუნქციონირება აუცილებლად მოითხოვს კონფიდენციალურობასა და ანონიმურობას. ბაზრის მონაწილენი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ კონკრეტული ოპერაციების განხორციელების სურვილი ან განხორციელებულ ოპერაციათა შინაარსი ცნობილი იქნება მხოლოდ გარიშებაში მონაწილე კონკრეტული კონტრაგენტისათვის. საბანკო დაწესებულებათა ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს იმ პროცედურათა განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე თანამშრომლებს ეცოდინებათ თუ რა სახის ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და რა სიტუაციებში უნდა იქნეს დაცული ანონიმურობა. კონფიდენციალურობის დარღვევების აღმოჩენის შემთხვევებში, ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები აღნიშნული მიზეზების აღმოსაფხვრელად.

უნდა აიკრძალოს დილერების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება პირადი სარგებლობისათვის და დამქირავებელი დაწესებულების კომპრომეტირებისათვის. მხარეთა პირდაპირი ნებართვის არსებობის გარეშე დილერებს ეკრძალებათ დადებულ გარიგებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება. დილერებს აგრეთვე ეკრძალებათ ინფორმაციის გადაცემა-გავრცელება ორგანიზაციის შიგნით მომუშავე სხვა პერსონალისათვის, რომელსაც არა აქვს უფლება ფლობდეს აღნიშნული სახის ინფორმაციას მისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე.

III. ეთიკის ნორმები

1. საკუთარ ხარჯზე განხორციელებული ოპერაციები

მიჩნეულია, რომ ყველა დილერი ყურადღებას უთმობს დამქირავებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციებს და დასაქმებული არ არის საკუთარი ფინანსური ოპერაციების განხორციელებით. ეს ხელს უწყობს საკუთარი ვალდებულებების მაქსიმალურად ობიექტურად შესრულებას. საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს, რომ თუ დილერებს ექნებათ უფლება საკუთარ ხარჯზე განახორციელონ ოპერაციები და გამოიყენონ ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ისინი იყენებენ მათი დამქირავებელი ორგანიზაციის სახელით, მაშინ წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტი, რაც საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედებს ორგანიზაციის რეპუტაციაზე.

2. თაღლითობისაგან დაცვა

ყველა თანამშრომელი სიფრთხილეს უნდა იჩინდეს თაღლითობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად. ეს ეხება შემთხვევებს, როცა:

- გარიგებები ხორციელდება ანგარიშსწორებისას საბუთების გაცვლის გარეშე;
- გარიგებების შედეგად ანგარიშსწორება ხორციელდება მესამე მხარის სასარგებლოდ;
- კონტრაგენტი ვერ ახერხებს დადებული გარიგების ხელმეორედ დადასტურებას;
- გარიგებები ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული წესების დაცვის გარეშე.

3. გართობა, საჩუქრები და აზარტული თამაშები

არც საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობამ და არც თანამშრომლებმა არ უნდა შესთავაზონ სხვა დაწესებულების თანამშრომლებს რაიმე ანაზღაურება გარიგების დადების მიზნით ან მოითხოვონ რაიმე სახის ანაზღაურება სხვა დაწესებულების თანამშრომლებისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურება მიჩნეულია ნორმალურ პრაქტიკად, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეიმუშაოს სათანადო მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს საჩუქრების გადაცემასა და მიღების, აგრეთვე გართობის ორგანიზების პირობებს. აუცილებელია განისაზღვროს რა სახის საჩუქარი შეიძლება იქნეს შემოთავაზებული ან მიღებული. აგრეთვე რა შემთხვევებში შეიძლება, რომ დოლერებმა აზარტულ თამაშებში მონაწილეობა მიიღონ ბაზრის სხვა მონაწილეებთან.

4. აკრძალვა

საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უნდა აკრძალოს თანამშრომლებს სადილინგო ოპერაციების წარმოება არაფხიზელ მდგომარეობაში. ასეთი ფაქტის დაშვებისათვის დილერი უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

5. ფულის გაწმენდა

ყველა საბანკო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს მაქსიმალური ინფორმაცია თავისი კლიენტის შესახებ და დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ფულის გაწმენდა არ ხდება საკუთარ მომსახურებაში მყოფი კლიენტებისათვის განხორციელებული ოპერაციებით.